



შპს საქართველოს უნივერსიტეტი

კონსოლიდირებული ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები

2023 წელი



შინაარსი

მმართველობის ანგარიში.....II

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება9

შპს საქართველოს უნივერსიტეტი-ს

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ
თარიღით დასრულებული წლისთვის
მმართველობითი ანგარიში

შინაარსი

1.კომპანია და მისი დამფუძნებლები	iii
2.კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა	iv
2.1 შემოსავლის სახეები	iv
2.2 კონკურენციის ანალიზი	v
2.3 საქმიანობის განვითარების გეგმები	v
2.4 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი	vi
2.5 არაფინანსური რისკებისა და გაურკვევლობის ანალიზი	vii
2.5.1 პოლიტიკურ-გეოგრაფიული რისკები და გაურკვევლობები.....	vii
2.5.2 მაკროეკონომიკური რისკები და გაურკვევლობები.....	viii
2.5.3 დარგის სპეციფიკური რისკები და გაურკვევლობები.....	ix

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ ფიზიკური პირების მიერ კერძო მფლობელობაში არსებული კომპანიაა, რომელიც აკრედიტირებულია უმაღლეს საგამანათლებლო ინსტიტუტად.

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

მესაკუთრე	ფლობის წილი
გიული ალასანია (01024003240)	37.5%
მანანა სანაძე (01026006411)	50%
ნიკოლოზ ალასანია, აშშ (711734114)	12.5%

კომპანიის პრეზიდენტები: პროფესორი გიული ალასანია, პროფესორი მანანა სანაძე

რექტორი: კონსტანტინე თოფურია

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, მერაბ კოსტავას 77ა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს უნივერსიტეტი ფლობდა შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

ს/კ	ორგანიზაციის დასახელება	წილის მფლობელი	წილის ოდენობა	სტატუსი
205258326	საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლა	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
405086945	იუჯი წიგნები	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
405106889	საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემია	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
405198744	არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
205258344	იუჯი სკოლა	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
405292589	იუჯი რეაქტა დენტი	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
405318570	საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
405091010	იუჯი-ლიმესი	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
405377578	იუჯი-ლიმეს რობოტექნიკის აკადემია	საქართველოს უნივერსიტეტი	51%	მოქმედი
405377783	იუჯი-ლიმეს 2019	საქართველოს უნივერსიტეტი	51%	მოქმედი
405382553	იუჯი არქეოლოგია	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	მოქმედი
445484351	იუჯი მედიკალ	იუჯი სკოლა	100%	მოქმედი
405292543	იუჯი ჯიმ	საქ. უნივერსიტეტის სპორტული სკოლა	100%	მოქმედი
405367650	იუჯი ლიმესი რობოტიკის საერთაშორისო აკადემია	იუჯი-ლიმეს რობოტექნიკის აკადემია	51%	მოქმედი
205214533	საქართველოს პროგნოზი	საქართველოს უნივერსიტეტი	50%	უმოქმედო
405357091	იუჯი ედისონ ტრენინგ ცენტრი	საქართველოს უნივერსიტეტი	51%	უმოქმედო
205270339	საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო ავეჯი	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	უმოქმედო
205258317	ხადილი	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	უმოქმედო

405103668	იუჯი-ლემონდუს ტრენინგ ცენტრი	საქართველოს უნივერსიტეტი	50%	უმოქმედო
405151669	იუჯი-პროგრეს ცენტრი	საქართველოს უნივერსიტეტი	50%	უმოქმედო
405203710	იუჯი ბუღის ენდ ბეარს კაპიტალი	საქართველოს უნივერსიტეტი	60%	უმოქმედო
405214977	საგანმანათლებლო ინოვაციების ლაბორატორია	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	უმოქმედო
405254433	იუჯი არქი პროექტი	საქართველოს უნივერსიტეტი	80%	უმოქმედო
405254442	პოლო მუზეუმი	საქართველოს უნივერსიტეტი	60%	უმოქმედო
405214959	ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრი	საქართველოს უნივერსიტეტი	100%	უმოქმედო

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

ამჟამად, უნივერსიტეტი ანხორციელებს 80-ზე მეტ აკადემიურ პროგრამას სწავლების ყველა საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი და სადოქტორო), სადაც სწავლობს 8500-ამდე ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი. პროგრამები ხორციელდება როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

სწავლის საფეხური	სულ სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის საერთაშორისო სტუდენტი
ბაკალავრიატი	8028	4355
მაგისტრატურა	367	67
დოქტორანტურა	99	2
ერთწლიანი	5	0

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უნივერსიტეტს 7300-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთა 90%-ზე მეტი დასაქმებულია.

პროგრამის დასრულება	სულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა	მათ შორის საერთაშორისო სტუდენტი
ბაკალავრიატი	5570	700
მაგისტრატურა	1700	54
დოქტორანტურა	89	0
ერთწლიანი	30	0

2.1 შემოსავლის სახეები

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ შემოსავლების 95%-ს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურები შეადგენს. დარჩენილი 5% მოიცავს: გრანტებს, გაქირავებული

ფართებიდან მიღებულ შემოსავლებს, წიგნების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებს, ტრენინგების ჩატარებიდან მიღებულ შემოსავლებს და სხვა.

2.2 კონკურენციის ანალიზი

უნივერსიტეტი ახორციელებს მოთხოვნის, კონკურენტების, მათი შემოთავაზებების, UG-სთან მიმართებაში კონკურენტული უპირატესობებისა და სუსტი მხარეების შესწავლას, რასაც ეფუძნება ყოველწლიურად უსდ-ის საფასო პოლიტიკა, სასწავლო პროგრამებისა და სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის სტრატეგიები.

უმაღლეს საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტთა ანალიზის ფარგლებში ხდება სხვა სასწავლო დაწესებულებების განვითარების შეფასება. მიმდინარე პროცესი ზუსტად აღწერს წარმოქმნილ საბაზრო ცვლილებებს, პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენტების განვითარების დონეს, მარკეტინგისა და საგანმანათლებლო სერვისების ზრდას, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ტაქტიკური გეგმის შემუშავებაზე.

პირდაპირი კონკურენტები:

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

კავკასიის უნივერსიტეტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

არაპირდაპირი კონკურენტები:

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)

თბილისის ღია უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

ცალკეულ მიმართულებებში პირდაპირი კონკურენტები:

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი

ტვილდიანის უნივერსიტეტი

ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2.3 საქმიანობის განვითარების გეგმები

უნივერსიტეტი გეგმავს გაამყაროს არსებული ურთიერთობები უცხოურ უნივერსიტეტებთან ასევე შექმნას ახალი კავშირები, დახვეწოს არსებული სასწავლო პროგრამები და შექმნას ახალი, განავითაროს ინფრასტრუქტურა. მარკეტინგული და პიარ აქტივობების მეშვეობით აამაღლოს უნივერსიტეტის ცნობადობა, გაზარდოს როგორც საერთაშორისო ისე ქართველი სტუდენტების რიცხვი. ბოლო რამოდენიმე წელია უნივერსიტეტი დიდ პრიორიტეტს ანიჭებს მეცნიერების განვითარებას. ამ მიზნით უნივერსიტეტმა შექმნა არაერთი კვლევითი ცენტრი, დაინერგა სამეცნიერო გრანტების გაცემის მექანიზმი. იგეგმება უფრო მაშტაბური გაცემა მომდევნო



პერიოდებში. 2019 წლიდან უნივერსიტეტმა დაიწყო სამეცნიერო ლაბორატორიების განვითარება, რომელიც დასრულდა 2021 წელში.

2.4 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს უნივერსიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა 1168-ს შეადგენს, მათ შორის 488 მუდმივ შტატზე დასაქმებული, ხოლო 680 მოწვეული ლექტორია, რომელთა ხელფასი საათობრივი დატვირთით განისაზღვრება.

მუდმივ შტატზე დასაქმებულთა საშუალო დარიცხულმა ხელფასმა 2757 ლარი შეადგინა, ხოლო საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი თანამშრომლების საშუალო დარიცხული ხელფასი 1065 ლარს შეადგენს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი საშუალო ხელფასის ცვლილება ქვემოთ მოყვანილ ცხრილებშია ასახული.



2.5 არაფინანსური რისკებისა და გაურკვევლობის ანალიზი

2.5.1 პოლიტიკურ-გეოგრაფიული რისკები და გაურკვევლობები:

სახელმწიფოს მხრიდან უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში არა თანმიმდევრული პოლიტიკა

სახელმწიფომ ვერ მოახერხა შეემუშავებინა ერთიანი მიდგომა უცხოელი სტუდენტების მიმართ. არ არსებობს რეგულაციები, სტუდენტური ვიზის მიღების, სასაზღვრო და იმიგრაციის რეგულაციები, უვიზო რეჟიმში მყოფი ქვეყნების მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის წესები და ა.შ. პერიოდულად სახელმწიფო ხსნის ან ხურავს ამა თუ იმ ქვეყნის სტუდენტებისთვის ქართულ უნივერსიტეტებზე წვდომის ფანჯრებს. პერიოდულად იქმნება მოულოდნელი, სპონტანური რეგულაციები სტუდენტთა ჩარიცხვის, ვიზის მიღების, საზღვრის გადალახვის, ბინადრობის ნებართვის მიღების/გაგრძელების, საიმიგრაციო და ა.შ. კუთხით. ხშირად განათლების სამინისტროს მიერ ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტებზე, გაურკვეველი მიზეზით არ გაიცემა ვიზა ჩვენ საკონსულოებში, ან ვიზიან სტუდენტებს უკან აბრუნებენ მესაზღვრეები, ან საზღვრის გადალახვის შემდეგ მათ უკან აბრუნებს იმიგრაციის სამსახური. რამდენიმე კურსის დახურვის შემდეგ სტუდენტს ვიზის გაგრძელებაზე უარს ეუბნება იუსტიციის სამინისტრო და ა.შ. ყოველივე ეს ლახავს საქართველოს, როგორც საგანმანათლებლო დანიშნულების ადგილის საერთაშორისო იმიჯს, ქმნის განათლების ექსპორტისთვის უკიდურესად არასტაბილურ გარემოს და უსდ-ებს აიძულებს დაგეგმვა განახორციელონ უკიდურესი გაურკვევლობის პირობებში.

მოქმედი მთავრობის სოციალისტური პოლიტიკა, მიმართული უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში

საჯარო სექტორის მხარდაჭერასა და მის მიერ კერძო სექტორის ჩანაცვლებაზე

ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა უმაღლესი განათლების სისტემის სოციალისტურ მოდელს ანიჭებს უპირატესობას, სადაც უმაღლესი განათლების ძირითადი მიმწოდებლები არიან სახელმწიფო უნივერსიტეტები. მათი მხრიდან ხშირად გამოითქმის უკმაყოფილება კერძო უნივერსიტეტების „დიდი რაოდენობის“ შესახებ და შიგადაშიგ ადგილი აქვს მინიშნებებს მათი ნაწილის დახურვის მიზანშეწონილობაზე. ყოველივე ეს დარტყმას აყენებს კერძო უმაღლესი უნივერსიტეტების პოზიციას ბაზარზე. რეფორმები დაფინანსების სქემაში, ორიენტირებულია არა სტუდენტის ინტერესებზე, არამედ მორგებულია კონკრეტული საჯარო უნივერსიტეტების ინტერესებს, რითაც სტუდენტებთან ერთად ზარალობენ კერძო უსდ-ებიც. ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრიდან საჯარო უნივერსიტეტებისადმი არაკეთილსინდისიერ მხარდაჭერა/დახმარებას (რაც გამოიხატება ორმაგი სტანდარტის არსებობაში ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს, სტუდენტის დაფინანსებაში, სამეცნიერო პროექტების დაფინანსებისას და ა.შ.), რაც განაპირობებს არათანაბარი კონკურენციის კიდევ უფრო გაღრმავება.

რეგიონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური ფლუქტუაციები

უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტების წარმომავლობის ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკურ- პოლიტიკური პროცესები განაპირობებს რისკ-ფაქტორს ქართული უნივერსიტეტებისთვის. ამ ქვეყნების ეროვნული ვალუტების დევალვაცია და ამ ქვეყნების მთავრობების მიერ შემუშავებული რეგულაციები უცხოური ვალუტის გადარიცხვასთან

დაკავშირებით პირდაპირ აისახება ამ ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტების გადახდისუნარიანობაზე. მაგ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის ირგვლივ განვითარებული პროცესები (აშშ-ის სანქციების შედეგად ეროვნული ვალუტის სწრაფი დევალვაცია), ერაყში, სირიაში და ა.შ. მახლობელი აღმოსავლეთის არაბულენოვან ქვეყნებში არსებული არასტაბილური მდგომარეობა, ნიგერიული ნაირას გაუფასურება და ა.შ.

რასობრივი სიძულვილი უცხოელი სტუდენტების მიმართ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში

პოსტსაბჭოთა, ჩაკეტილი ქართული საზოგადოება გამოირჩევა ჰომოფობიური დამოკიდებულებებით და რასობრივი სიძულვილით განსხვავებული ეთნიკურ/რასობრივი ჯგუფების მიმართ გარდა ევრო- ამერიკული ხალხებისა, ვის მიმართაც ქვეცნობიერად გრძნობს ცივილიზაციურ ჩამორჩენას და რუსებისა - როგორც „ყოფილი ბატონების“ მიმართ. ვინაიდან განსახილველ პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, საერთაშორისო სტუდენტთა უმრავლესობა იქნება არა ევროპის ქვეყნებიდან და აშშ-დან, არამედ მესამე სამყაროს ქვეყნებიდან, ეს უნივერსიტეტისთვის გარკვეული პოტენციური პრობლემების შემცველია.

უნივერსიტეტის ასოცირება კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან

საქართველოს უნივერსიტეტი გასაგები მიზეზების გამო ასოცირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რაც განაპირობებს მისდამი არაკეთილგანწყობას, როგორც „ნაციონალური მოძრაობისადმი“ უარყოფითად განწყობილ საზოგადოების ნაწილში, ისე მის პოლიტიკურ ოპონენტებში - ხელისუფლებაში.

2.5.2 მაკროეკონომიკური რისკები და გაურკვევლობები

ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა აშშ-ის დოლარის მიმართ

ეროვნული ვალუტა არასტაბილურია და ხელისუფლებაში არსებული ეკონომიკური განვითარების ხედვის პირობებში, სავარაუდოდ არასტაბილურობა შენარჩუნდება. UG ემსახურება აშშ-ის დოლარში არსებულ გრძელვადიან OPIC-ის კრედიტს, რაც მნიშვნელოვნად ძვირდება ეროვნული ვალუტის გაუფასურების პირობებში. გარდა ამისა ინფრასტრუქტურული განვითარებაც ძვირდება, რადგან ამისთვის საჭირო მასალები (საშენი მასალები, კომპიუტერული და სხვა ტექნიკა) ძირითადად იმპორტირებულია.

დემოგრაფიული პრობლემა

მომდევნო 7 წელი დემოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე არახელსაყრელია, რადგან 2019-2025 წლებში სტუდენტობას მიაღწევს 2001-2008 წლებში დაბადებულთა თაობები, როცა შობადობა საქართველოში ყველაზე დაბალი იყო უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში. (1990 წლიდან 1999 წლამდე შობადობა თანმიმდევრულად შემცირდა 92815 ახალშობილიდან - 48700-მდე. 2000 - 2007 წლები წარმოადგენს ფსკერს: 2000წ. - 48,800; 2001წ. - 47,589; 2002წ. - 46,605; 2003წ. - 46,192; 2004წ. - 49,572; 2005წ. - 46,512; 2006წ. - 47,795; 2007წ. - 49287; ხოლო 2008 წლიდან შობადობა თანმიმდევრულად კვლავ იზრდება და 2014 წლისთვის 60,000-ს აღწევს.)

2.5.3 დარგის სპეციფიკური რისკები და გაურკვევლობები:

საერთაშორისო ბაზარზე საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის შესახებ არსებული უარყოფითი განწყობის დამკვიდრება ცალკეული ქართული უნივერსიტეტების მიერ დაბალი ხარისხის მომსახურების მიწოდების გამო.

სახელწიფო არ ახდენს განათლების ხარისხის რეალურ კონტროლს, ხელმძღვანელობს რა ორმაგი სტანდარტით სხვადასხვა უნივერსიტეტებთან მიმართებაში. ეს განაპირობებს ცალკეული უნივერსიტეტების მხრიდან უკიდურესად დაბალი ხარისხის განათლების მიწოდებას, ე.წ. „დიპლომების გაყიდვის“ პრაქტიკას, რაც უარყოფითად ასახება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის იმიჯსა და რეპუტაციაზე, ზოგადად, და რისკის ქვეშ აგდებს ბაზრის „კეთილსინდისიერ“ მომწოდებლებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორის რეგულირების კონსერვატიული მიდგომა

უმაღლესი საგანმანათლებლო სექტორის მარეგულირებელ ორგანოებში არსებობს ხარისხის კონტროლის კონსერვატიული მიდგომა, რაც ზღუდავს დარგის განვითარებას და ინოვაციების დანერგვას. მაგალითად, უკიდურესად შეზღუდულია დისტანციური სწავლების პრაქტიკის დანერგვის, უფრო თანამედროვე, მოქნილი სასწავლო კურიკულუმების შემუშავების, აკადემიური პერსონალის დაკომპლექტების და ა.შ. შესაძლებლობები, რაც უკიდურესად ურთულებს ქართულ უსდ-ებს საერთაშორისო კონკურენციას, სადაც კონკურენტ უსდ-ებს ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის მეტი შესაძლებლობა აქვთ.

პრეზიდენტი, ქ-ნი გიული ალასანია

პრეზიდენტი, ქ-ნი მანანა სანაძე

2.5.3 დარგის სპეციფიკური რისკები და გაურკვევლობები:

საერთაშორისო ბაზარზე საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის შესახებ არსებული უარყოფითი განწყობის დამკვიდრება ცალკეული ქართული უნივერსიტეტების მიერ დაბალი ხარისხის მომსახურების მიწოდების გამო.

სახელწიფო არ ახდენს განათლების ხარისხის რეალურ კონტროლს, ხელმძღვანელობს რა ორმაგი სტანდარტით სხვადასხვა უნივერსიტეტებთან მიმართებაში. ეს განაპირობებს ცალკეული უნივერსიტეტების მხრიდან უკიდურესად დაბალი ხარისხის განათლების მიწოდებას, ე.წ. „დიპლომების გაყიდვის“ პრაქტიკას, რაც უარყოფითად ასახება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის იმიჯსა და რეპუტაციაზე, ზოგადად, და რისკის ქვეშ აგდებას ბაზრის „კეთილსინდისიერ“ მომწოდებლებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორის რეგულირების კონსერვატიული მიდგომა

უმაღლესი საგანმანათლებლო სექტორის მარეგულირებელ ორგანოებში არსებობს ხარისხის კონტროლის კონსერვატიული მიდგომა, რაც ზღუდავს დარგის განვითარებას და ინოვაციების დანერგვას. მაგალითად, უკიდურესად შეზღუდულია დისტანციური სწავლების პრაქტიკის დანერგვის, უფრო თანამედროვე, მოქნილი სასწავლო კურიკულუმების შემუშავების, აკადემიური პერსონალის დაკომპლექტების და ა.შ. შესაძლებლობები, რაც უკიდურესად ურთულებს ქართულ უსდ-ებს საერთაშორისო კონკურენციას, სადაც კონკურენტი უსდ-ებს ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის მეტი შესაძლებლობა აქვთ.

პრეზიდენტი, ქ-ნი გიული ალასანია



პრეზიდენტი, ქ-ნი მანანა სანაძე



შპს საქართველოს უნივერსიტეტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება - სარჩევი

<u>დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა</u>	<u>11</u>
<u>კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</u>	<u>15</u>
<u>კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება</u>	<u>16</u>
<u>კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....</u>	<u>17</u>
<u>კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....</u>	<u>18</u>
<u>ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</u>	<u>19</u>

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებლებს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდეგში, „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (გვ. 15-40) აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კონსოლიდაცია. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“-ს მიერ 2019 წელს მეკავშირე საწარმო - შპს “იუჯი-ლიმესი“-ზე კონტროლის მოპოვებასა და შემდგომში კონსოლიდაციის ეფექტს. აღნიშნული შვილობილის არაუდირებული აგრეგირებული მონაცემებია შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები	9	10
მიმდინარე აქტივები	236	293
სულ აქტივები	247	303
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მიმდინარე ვალდებულებები	138	117
კაპიტალი	109	186
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	247	303

სრული შემოსავლების ანგარიშგება	2023	2022
ამონაგები და სხვა შემოსავალი	-	114
სულ ხარჯები	(77)	(159)
სრული მოგება (ზარალი)	(77)	(45)

საინვესტიციო ქონება და ძირითადი საშუალებები. 2022 წლის განმავლობაში, ჯგუფმა განახორციელა რიგი არსებითი ინვესტიციები უძრავ ქონებაში (ძირითადად - მიწა თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში) 18,155 ათასი ლარის მოცულობით. ჯგუფი გეგმავს ამ ახლი შენაძენების, ისევე როგორც მანამდე უკვე საკუთრებაში არსებულ 11,845 ათასი ლარის უძრავ ქონებაზე გარკვეული გაუმჯობესებების მშენებლობას (შემდგომი საოპერაციო გამოყენებისათვის). 2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა დამატებით 795 ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელა უძრავ ქონებაში, საინვესტიციო ქონების ჯამური საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 30,658 თუმცა, ჯგუფმა ვერ შეძლო ვერც ახალ და ვერც მანამდე საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე სასურველი გაუმჯობესებებისათვის საჭირო ნებართვების მოპოვება და სათანადო პროექტების დამტკიცება მრავლობითი მცდელობის მიუხედავად. ვინაიდან ჯგუფი ვერ ახერხებს ამ აქტივების საოპერაციო მიზნებისათვის გამოყენებას ან გასხვისებას - აღნიშნული ქონება, ბასს 40-ის შესაბამისად წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას, ამასთანავე, საინვესტიციო ქონების წარდგენის არჩეული მოდელის შესაბამისად - ეს აქტივები უნდა წარედგინებოდეს სამართლიანი ღირებულებით.

თანამშრომელთა გრძელვადიანი სარგებელი. ფინანსური ანგარიშგების 16-ე ახსნა-განმარტებით შენიშვნაში წარდგენილია შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს დანერგილი თანამშრომელთა სარგებლის ახალი პოლიტიკა, რომელიც სხვა გრძელვადიანი კომპონენტებთან ერთად, მოიცავს სიცოცხლის ბოლომდე კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას. ამ ვალდებულების შესატყვისი ანარიცხები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობის ანგარიშს (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად (იხილეთ გვ. i-ix), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ

შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდებულებს, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. i-ix) მმართველობის ანგარიშსზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
3 დეკემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2023	2022 (ჩასწორებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 4)	91,971	82,529
გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივები (შენიშვნა 13)	2,017	1,296
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებსა და წილობრივ ინსტრუმენტებში (შენიშვნა 7)	2,612	662
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 5)	397	499
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	20	33
სხვა გრძელვადიანი აქტივი (შენიშვნა 8)	5,177	-
საინვესტიციო ქონება (შენიშვნა 6)	1,018	3,996
სულ გრძელვადიანი აქტივები	103,212	89,015
მოკლევადიანი აქტივები		
მისაღები სესხები	396	574
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 9)	8,446	7,208
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 10)	1,401	2,708
საგადასახადო აქტივები	2,979	2,316
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 11)	12,535	4,779
სულ მოკლევადიანი აქტივები	25,757	17,585
სულ აქტივები	128,969	106,600
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	18,609	18,324
სულ საკუთარი კაპიტალი	18,611	18,326
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 12)	58,957	43,193
იჯარა გრძელვადიანი ნაწილი (შენიშვნა 13)	1,432	970
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები (შენიშვნა 19)	1,744	807
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	62,133	44,970
მოკლევადიანი ვალდებულებები		
გადავადებული შემოსავალი (წინასწრებით გადახდილი სწავლის საფასური)	35,833	26,596
მიმდინარე ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 12)	4,009	3,880
იჯარა მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 13)	774	403
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 14)	7,184	12,425
გადასახდელი გადასახადები	425	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	48,225	43,304
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	128,969	106,600

ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბერს:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტი, ქ-ნ მანანა სანაძე


კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2023	2022 (ჩასწორებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 4)	91,971	82,529
გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივები (შენიშვნა 13)	2,017	1,296
ინვესტიციები ფასიან ქალაქებსა და წილობრივ ინსტრუმენტებში (შენიშვნა 7)	2,612	662
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 5)	397	499
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	20	33
სხვა გრძელვადიანი აქტივი (შენიშვნა 8)	5,177	-
საინვესტიციო ქონება (შენიშვნა 6)	1,018	3,996
სულ გრძელვადიანი აქტივები	103,212	89,015
მოკლევადიანი აქტივები		
მისაღები სესხები	396	574
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 9)	8,446	7,208
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 10)	1,401	2,708
საგადასახადო აქტივები	2,979	2,316
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 11)	12,535	4,779
სულ მოკლევადიანი აქტივები	25,757	17,585
სულ აქტივები	128,969	106,600
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	18,609	18,324
სულ საკუთარი კაპიტალი	18,611	18,326
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 12)	58,957	43,193
იჯარა გრძელვადიანი ნაწილი (შენიშვნა 13)	1,432	970
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები (შენიშვნა 19)	1,744	807
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	62,133	44,970
მოკლევადიანი ვალდებულებები		
გადავადებული შემოსავალი (წინასწრებით გადახდილი სწავლის საფასური)	35,833	26,596
მიმდინარე ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 12)	4,009	3,880
იჯარა მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 13)	774	403
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 14)	7,184	12,425
გადასახდელი გადასახადები	425	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	48,225	43,304
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	128,969	106,600

ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბერს:

პრეზიდენტი ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტი ქ-ნ მანანა სანაძე



კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31 დეკემბერი	
	2023	2022
	(ჩასწორებული)	
სწავლების საფასური	68,667	53,920
შრომის ანაზღაურება (შენიშვნა 19)	(33,687)	(27,782)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,886)	(3,518)
გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივების ცვეთა	(702)	(424)
სარემონტო და კომუნალური დანახარჯები (შენიშვნა 15)	(5,593)	(4,457)
მარკეტინგული დანახარჯები	(8,199)	(6,233)
სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები, ნეტო (შენიშვნა 16)	(8,558)	(4,316)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) (შენიშვნა 17)	(5,224)	2,431
სხვა მოგება (ზარალი) (შენიშვნა 18)	(533)	(7,939)
მიმდინარე წლის მოგება	285	1,682
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ სრული შემოსავალი	285	1,682

ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბერს:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტი, ქ-ნ მანანა სანაძე

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი	
	2023	2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	83,545	65,894
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(66,556)	(54,616)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	16,989	11,453
გადახდილი პროცენტი	(5,342)	(2,504)
მიღებული პროცენტი	58	32
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	11,705	8,981
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(424)	(775)
გაცემული სესხის დაფარვა	119	39
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში (შენიშვნა 7)	(149)	(4,037)
მეკავშირე კომპანიაში წილის გაყიდვა (შენიშვნა 7)	105	-
სავაჭრო ფლობილი წილობრივი ინსტრუმენტების შეძენა (შენიშვნა 7)	(2,491)	(175)
სავაჭრო ფლობილი წილობრივი ინსტრუმენტების გაყიდვა (შენიშვნა 7)	2,322	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,491)	(34,487)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(14,161)	(39,435)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 23)		
სესხის სახით მიღებული თანხები	16,159	35,519
იჯარის დაფარვა	(628)	(423)
სესხის დაფარვა	(5,233)	(4,751)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	10,298	30,345
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	7,842	(109)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	4,779	5,452
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(86)	(564)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	12,535	4,779

ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბერს:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტი, ქ-ნ მანანა სანაძე

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


	31 დეკემბერი	
	2023	2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	83,545	65,894
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(66,556)	(54,616)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	16,989	11,453
გადახდილი პროცენტი	(5,342)	(2,504)
მიღებული პროცენტი	58	32
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	11,705	8,981
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(424)	(775)
გაცემული სესხის დაფარვა	119	39
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში (შენიშვნა 7)	(149)	(4,037)
მეკავშირე კომპანიაში წილის გაყიდვა (შენიშვნა 7)	105	-
სავაჭროდ ფლობილი წილობრივი ინსტრუმენტების შეძენა (შენიშვნა 7)	(2,491)	(175)
სავაჭროდ ფლობილი წილობრივი ინსტრუმენტების გაყიდვა (შენიშვნა 7)	2,322	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,491)	(34,487)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(14,161)	(39,435)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 23)		
სესხის სახით მიღებული თანხები	16,159	35,519
იჯარის დაფარვა	(628)	(423)
სესხის დაფარვა	(5,233)	(4,751)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	10,298	30,345
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	7,842	(109)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	4,779	5,452
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგი ფულად	(86)	(564)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	12,535	4,779


ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბერს:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია



პრეზიდენტი, ქ-ნ მანანა სანაძე





შპს საქართველოს უნივერსიტეტი
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	2	16,642	16,644
2022 წლის სრული შემოსავალი	-	1,682	1,682
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2	18,324	18,326
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2	18,324	18,326
2023 წლის სრული შემოსავალი	-	285	285
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2	18,609	18,611

ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბერს:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტი, ქ-ნ მანანა სანაძე

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	2	16,642	16,644
2022 წლის სრული შემოსავალი	-	1,682	1,682
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2	18,324	18,326
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2	18,324	18,326
2023 წლის სრული შემოსავალი	-	285	285
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2	18,609	18,611


ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 3 დეკემბერს:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია



პრეზიდენტი, ქ-ნ მანანა სანაძე





ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საქართველოს უნივერსიტეტი ფიზიკური პირების მიერ კერძოდ ფლობილი კომპანიაა, რომელსაც გააჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტად აკრედიტაცია.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, მერაბ კოსტავას 77ა. შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში „ჯგუფი“) ყველა შვილობილი კომპანია (ერთობლივად - „ჯგუფი“) რეგისტრირებულია და მდებარეობს ამავე მისამართზე.

ჯგუფის ბენეფიციარები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

- ქ-ნ გიული ალასანია - 37,5 პროცენტი
- ქ-ნ მანანა სანაძე - 50 პროცენტი
- ბ-ნ ნიკოლოზ ალასანია - 12,5 პროცენტი

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 კონსოლიდაცია

(ა) შვილობილი კომპანიები

შვილობილი არის ყველა კომპანია რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა საქართველოში რეგისტრირებულ შემდგომ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	ფლობის წილი	სტატუსი
შპს საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლა	100	მოქმედი
შპს იუჯი წიგნები	100	მოქმედი
შპს საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემია	100	მოქმედი
შპს არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი	100	მოქმედი
შპს იუჯი სკოლა	100	მოქმედი
შპს იუჯი რეაქტივა დენტი	100	მოქმედი
შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი	100	მოქმედი
შპს იუჯი-ლიმესი - არ არის შესული კონსოლიდაციაში	100	მოქმედი
შპს იუჯი-ლიმეს რობოტექნიკის აკადემია	51	მოქმედი
შპს იუჯი-ლიმეს 2019	51	მოქმედი
შპს იუჯი არქეოლოგია	100	მოქმედი
შპს იუჯი მედიკალ	100	მოქმედი
შპს იუჯი ჯიმ	100	მოქმედი
შპს იუჯი ლიმესი რობოტიკის საერთაშორისო აკადემია	51	მოქმედი
შპს იუჯი-35	50	მოქმედი
შპს კრიმსონ კოლეჯი	50	მოქმედი
შპს საქართველოს პროგნოზი	50	უმოქმედო
შპს იუჯი ედისონ ტრენინგ ცენტრი	51	უმოქმედო
შპს საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო ავეჯი	100	უმოქმედო
შპს ხადილი	100	უმოქმედო
შპს იუჯი-ლემონდუს ტრენინგ ცენტრი	50	უმოქმედო
შპს იუჯი-პროგრეს ცენტრი	50	უმოქმედო

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შვილობილი	ფლობის წილი	სტატუსი
შპს იუჯი ბუღს ენდ ბეარს კაპიტალი	60	უმოქმედო
შპს საგანმანათლებლო ინოვაციების ლაბორატორია	100	უმოქმედო
შპს იუჯი არქი პროექტი	80	უმოქმედო
შპს ჰოლო მუზეუმი	60	უმოქმედო
შპს ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრი	100	უმოქმედო
შპს არს გუსტო*	100	მოქმედი

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

*შპს არს გუსტოს მონეტარული მონაცემები არ იქნა გათვალისწინებული კონსოლიდაციისას ორგანიზაციის არაარსებითობის გამო.

ბ) ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიები

ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო არის ისეთი საწარმო რომელთა დამფუძნებლებს შორის არსებობს კონტრაქტუალური გარიგება საწარმოს ერთობლივ მართვაზე. ერთობლივად მართული კომპანიები აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

კაპიტალ მეთოდის მიხედვით თავდაპირველი ინვესტიცია აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინვესტიციის ღირებულება იცვლება შესყიდვის შემდეგ საწარმოს მოგებასა და მთლიან მოგებაში წილის აღიარების საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ ზარალის წილი აჭარბებს ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ჯგუფი არ აღიარებს დამატებით ზარალებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს ამის იურიდიული ვალდებულება. იმ შემთხვევაში როდესაც მიღებული დივიდენდი აჭარბებს ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ინვესტიცია განუღდება და ნარჩენი თანხა აღიარდება პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

შიდა ჯგუფური ოპერაციების არარეალიზირებული მოგება ზარალი ელიმინირდება ჯგუფის წილის პროპორციულად. არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირდება და თუ არ არსებობს გაუფასურების ინდიკატორი. ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს საადრიცხო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის პოლიტიკასთან თანხვედრის მიზნით.

გ) მეკავშირე კომპანიები

მეკავშირედ ითვლება ისეთი საწარმოები რომლებზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზემოქმედება მაგრამ არა კონტროლი, რომელსაც ზოგადად თან ახლავს ხმის უფლების მქონე წილის 20-50 პროცენტამდე მფლობელობა. ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში ასახულია კაპიტალ მეთოდით.

2.3 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

(ა) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ჯგუფისათვის შესაბამისი ძირითადი უცხოური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსები ბალანსის თარიღისათვის მოცემულია ქვემოთ:

	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753

(ბ) ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი

გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდგენიარად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობანი	30
ავეჯი და აღჭურვილობა	5-10
ბიბლიოთეკა	10
ავტომობილები	5

2.5 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს გაქირავების მიზნით ფლობილ უძრავ ქონებას. საინვესტიციო ქონება წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით.

2.6 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული ისტორიული ღირებულებით.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

2.7 მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.8 სავაჭრო დებიტორები

სავაჭრო დებიტორები შედგება მისაღები მოსაკრებლებისა და წინასწარი გადახდებისგან. სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს სტუდენტების გადასახდელი მოსაკრებლები და მოთხოვნები ჯგუფის კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ.

სავაჭრო დებიტორები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

2.9 ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.10 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადი ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო

ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

2.11 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფში შემავალ კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.12 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტიების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი ვადის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

2.13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მერე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.14 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. ჯგუფი წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში აღისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფში შემავალ კომპანიებს არ გააჩნიათ იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელონ საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.17 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კლასიფიკაცია. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო

დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. საჯარო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ჯგუფმა შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადი ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადაში ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის

დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის ღიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელმეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელმეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელმეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელმეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის

თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელმძღვანელო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელმძღვანელო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ადიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ადიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწერა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელმძღვანელო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის ადიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც ადიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაზე და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი ადიარება და შეფასება

თავდაპირველი ადიარება და კლასიფიკაცია. ყველა ფინანსური ვალდებულების ადიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც ამორტიზირებული ღირებულებით წარდგენილი ვალდებულებები.

შემდგომი შეფასება. თავდაპირველი ადიარების შემდეგ ვალდებულებების (სავაჭრო და სასესხო) შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის ადიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების ადიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

ადიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების ადიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების ადიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების ადიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2.18 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის

დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირეზულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვლადი, ხშირად განაპირობებს აქტივებში განთავსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვლადი, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.19 2023 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებებზე) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად ფასს პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შეღავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

OECD Pillar Two Rules – (გამოქვეყნებისთანავე ძალაშია გარკვეული ახსნა განმარტებების წარდგენისაგან განთავისუფლების გარდა) შეეხება მულტი-ნაციონალურ კომპანიების ეფექტური საგადასახადო განაკვეთის წარდგენას იურისდიქციების მიხედვით.

2023 წლის 30 ივნისს საბჭოს მიერ გამოცემულია გადაწყვეტილებები ქვემოთ მოცემულ საკითხებზე რომლებიც რელევანტურია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით, თუმცა მათ არ მოუხდენია კომპანიაზე რაიმე სახის გავლენა. ქვემოთ მოცემული გამოცემის თარიღები მიუთითებს საბჭოს (IASB) გადაწყვეტილების თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2022 წლის ივლისი	დაბალი გამონაბოლქვის მქონე მანქანების ნეგატიური კრედიტი (ბასს 37)
2022 წლის ივლისი	ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალად კლასიფიკაცია სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (ბასს 32)
2022 წლის ივლისი	სადაზღვევო ზღვრების გადაცემა გუფურით ანუიტური კონტრაქტების მიხედვით (ფასს 17)
2022 წლის ოქტომბერი	სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (SPAC): გარანტიების აღრიცხვა შესყიდვისას
2022 წლის ოქტომბერი	მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ნაპატიები საიჯარო გადახდები (ფასს 9 და ფასს 16)
2022 წლის ოქტომბერი	მულტისავალუტო გუფების სადაზღვევო კონტრაქტები (ფასს 17 და ბასს 21)
2023 წლის აპრილი	იჯარის განმარტება - იჯარის ჩანაცვლების უფლება (ფასს 16)

2.20 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადადმე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიმუმები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამოიღველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახდელი თანხები და ვადიანობა რომლებიც დაკავშირებულია SFA-სთან, და შესაბამისი სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

შენიშვნა 3. სრული შემოსავლების ანგარიშში მუხლების წარდგენის ცვლილება

ჩგუფმა, 2022 წლის 31 სექტემბრის მდგომარეობით მომზადებულ, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა შემოსავლებისა და ხარჯების მუხლში წარადგინა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებთან დაკავშირებული მოგება (ზარალი) და ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სამართლიანი წარდგენის მიზნებისათვის, უმჯობესია ამ ტიპის ოპერაციების განცალკავებულად, სხვა მოგება (ზარალი)-ს მუხლში წარდგენა. წარდგენის ცვლილება არ იწვევს გამოქვეყნებულ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში რომელიმე ჯამის ან ქვე-ჯამის ცვლილებას. ამასთანავე, სს ბაზის ბანკიდან აღებულ სესხთან მიმართებით, ჩგუფის წევრ ორ კომპანიას მეტობით ქონდა გაანგარიშებული შესატყვისი პერიოდის საპროცენტო ხარჯი:

	2022 (ჩასწორებული)	2022 ჩასწორება	2022
სწავლების საფასური	53,920	-	53,920
შრომის ანაზღაურება	(27,782)	-	(27,782)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,518)	-	(3,518)
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(424)	-	(424)
სარემონტო და კომუნალური დანახარჯები	(4,457)	1,723	(6,180)
მარკეტინგული დანახარჯები	(6,233)	-	(6,233)
სხვა შემოსავლები და ხარჯები, ნეტო	(4,316)	6,216	(10,532)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	2,431	1,205	1,226
სხვა მოგება (ზარალი)	(7,939)	(7,939)	-
მიმდინარე წლის მოგება	1,682	1,205	477
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
სულ სრული შემოსავალი	1,682	1,205	477

ფინანსური მდგომარეობის 2022 წლის ანგარიშგების წარდგენის ცვლილება:

	2022 (ჩასწორებული)	31 დეკემბერი ჩასწორება	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	82,529	-	82,529
გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივები	1,296	-	1,296
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებსა და წილობრივ ინსტრუმენტებში	662	-	662
არამატერიალური აქტივები	499	-	499
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	33	-	33
საინვესტიციო ქონება	3,996	-	3,996
სულ გრძელვადიანი აქტივები	89,015	-	89,015
მოკლევადიანი აქტივები			
მისაღები სესხები	574	-	574
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7,208	-	7,208
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,708	-	2,708
საგადასახადო აქტივები	2,316	-	2,316
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,779	-	4,779
სულ მოკლევადიანი აქტივები	17,585	-	17,585
სულ აქტივები	106,600	-	106,600
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2	-	2
გაუნაწილებელი მოგება	18,324	1,205	17,119
სულ საკუთარი კაპიტალი	18,326	1,205	17,121
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები საშუალებები	43,193	-	43,193
იჯარა გრძელვადიანი ნაწილი	970	-	970
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	807	-	807
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	44,970	-	44,970
მოკლევადიანი ვალდებულებები			
წინასწრებით გადახდილი სწავლის საფასური	26,596	-	26,596
მიმდინარე ნასესხები საშუალებები	3,880	(1,205)	5,085
იჯარა მიმდინარე ნაწილი	403	-	403
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12,425	-	12,425
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	43,304	(1,205)	44,509
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	106,600	-	106,600

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	საოფისე მოწყობილობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ბიბლიოთეკა	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს						
ისტორიული ღირებულება	45,805	298	14,297	1,410	851	62,661
დაგროვილი ცვეთა	(9,241)	-	(8,096)	(740)	(552)	(18,629)
საბალანსო ღირებულება	36,564	298	6,201	670	299	44,032
2022 წლის ცვლილება						
შეძენა	32,970	6,407	3,380	366	90	43,213
გასვლა	(476)	(298)	(114)	(81)	-	(969)
ცვეთის ჩამოწერის ელიმინაცია	-	-	108	64	-	172
ცვეთა	(1,438)	-	(2,143)	(250)	(88)	(3,919)
საბალანსო ღირებულება	67,620	6,407	7,432	769	301	82,529
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის						
ისტორიული ღირებულება	78,299	6,407	17,563	1,695	941	104,905
დაგროვილი ცვეთა	(10,679)	-	(10,131)	(926)	(640)	(22,376)
საბალანსო ღირებულება	67,620	6,407	7,432	769	301	82,529
2023 წლის ცვლილება						
შეძენა	3,802	6,724	3,041	517	93	14,177
გასვლა	(6)	-	(67)	(36)	-	(109)
ცვეთის ჩამოწერის ელიმინაცია	-	-	54	36	-	90
ცვეთა	(1,790)	-	(2,601)	(269)	(56)	(4,716)
საბალანსო ღირებულება	69,329	13,428	7,859	1,017	338	91,971
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის						
ისტორიული ღირებულება	81,798	13,428	20,537	2,176	1,034	118,973
დაგროვილი ცვეთა	(12,469)	-	(12,678)	(1,159)	(696)	(27,002)
საბალანსო ღირებულება	69,329	13,428	7,859	1,017	338	91,971

2023 წლის 31 დეკემბრისთვის სს საქართველოს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები დატვირთულია სს ბაზის ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს იუჯი წიგნების მფლობელობაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები დატვირთულია სს ბაზის ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მედიკალის მფლობელობაში არსებული მიწა დატვირთულია სს ბაზის ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მენიშვნა 5. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პროგრამები
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	
ისტორიული ღირებულება	834
დაგროვილი ამორტიზაცია	(448)
საბალანსო ღირებულება	386
2022 წლის ცვლილება	
შეძენა	267
გასვლა	(9)
ამორტიზაციის ხარჯი	(151)
ცვეთის ჩამოწერის ელიმინაცია	6
საბალანსო ღირებულება	499
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	
ისტორიული ღირებულება	1092
დაგროვილი ამორტიზაცია	(593)
საბალანსო ღირებულება	499
2023 წლის ცვლილება	
შეძენა	95
გასვლა	(85)
ამორტიზაციის ხარჯი	194
ცვეთის ჩამოწერის ელიმინაცია	(82)
საბალანსო ღირებულება	397
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	
ისტორიული ღირებულება	1,102
დაგროვილი ამორტიზაცია	(705)
საბალანსო ღირებულება	397

მენიშვნა 6. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ჯგუფის საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელ ფართებს, რომლებიც განკუთვნილი იქარით გასაცემად. საინვესტიციო ქონება წარდგენილია საბაზრო ღირებულებით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,018 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,996 ლარი). 2023 წლის განმავლობაში გასხვისებული საინვესტიციო ქონებიდან წარმოქმნილი ზარალი შეადგენს 477 ლარს ხოლო სამართლიანი ღირებულების შემცირება შეადგენს 80 ლარს ეს მონაცემები წარდგენილია სხვა მოგება ზარალში (მენიშვნა 18).

მენიშვნა 7. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებსა და წილობრივ ინსტრუმენტებში

2020 წლის 4 დეკემბერს საქართველოს უნივერსიტეტმა საბროკერო ფირმის მეშვეობით მოახდინა ლონდონის საფონდო ბირჟაზე (RR.LSE) კოტირებული ჰოლდინგის, Rolls-Royce Holdings plc-ის, 162,583 ცალი აქციის შეძენა.

კომპანია ასევე SaxoTraderPro პლატფორმაზე ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით. კომპანია ფლობს პორტფოლიოს, რომლის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 350.5 ათას აშშ დოლარს.

	2023	2022
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული წილობრივი ინსტრუმენტები (FVTPL):		
ღირებულება 1 იანვარს	662	835
შესყიდვა	2,491	175
გაყიდვა	(2,036)	-
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,416	(211)
საკურსო მოგება/ზარალი	79	(137)
ღირებულება 31 დეკემბერს	2,612	662

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
მონაწილეობა მეკავშირე და შვილობილ კომპანიებში:		
ღირებულება 1 იანვარს	-	-
შესყიდვა/შვილობილი კომპანიების კაპიტალში შენატანები	149	3,518
გაყიდვა	(105)	-
გაუფასურება	(44)	(3,518)
ღირებულება 31 დეკემბერს	-	-
სულ ინვესტიციები	2,612	662

მენიშვნა 8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივი წარმოადგენს შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს წილის ნასყიდობისთვის გადახდილი ავანსი. 2023 წელს, კომპანიამ სს „თიბისი ბანკის“-გან აიღო 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს 45%-იანი წილის შესაძენად. სესხის თანხა ბანკმა პირდაპირ წილის გამყიდველს გადასცა, საბოლოო შეთანხმება 45%-იანი წილის გადაცემის შესახებ გაფორმდა 2024 წლის სექტემბერში. 2024 წელს დამატებით გადაირიცხა 2.4 მილიონი აშშ დოლარი. ჯამში საქართველოს უნივერსიტეტს 4.4 მილიონ აშშ დოლარად გადაეცა შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს 45%-იანი წილი.

მენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანება-მისაღები მოსაკრებელი	102	89
სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	-
გადახდილი ავანსები	7,094	6,525
სხვა დებიტორული დავალიანება	1,250	594
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8,446	7,208

მენიშვნა 10. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გასაყიდი წიგნები	305	269
მასალები	583	604
სხვა ინვენტარი	513	1,835
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,401	2,708

მენიშვნა 11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ნაღდი ფული სალაროში	-	4
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	755	1,517
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	11,780	3,258
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12,535	4,779

მენიშვნა 12. ნასესხები საშუალებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გრძელვადიანი ნასესხები საშუალებები:		
საბანკო სესხები	58,957	43,193
მოკლევადიანი ნასესხები საშუალებები:		
საბანკო სესხები	4,009	5,085
სულ ნასესხები საშუალებები	62,966	48,278

შპს საქართველოს უნივერსიტეტმა 2018 წლის ოქტომბერში სკოლის კორპუსის მშენებლობის მიზნობრიობით სს ბაზის ბანკიდან აიღო 900 ათასი აშშ დოლარი სასესხო ვალდებულება, 7.5 საპროცენტო განაკვეთით. სესხის თანხის

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მიღება მოხდა სამ ტრანშად, აქედან 200 ათასი აშშ დოლარი კომპანიამ მიიღო 2019 წლის მარტში. სესხის გადასახდელები დაყოფილია 120 თანაბარ ნაწილად. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2028 წლის დეკემბერი. 2018 წლის დეკემბერში შპს საქართველოს უნივერსიტეტმა მიიღო 2,030 მილიონი აშშ დოლარის სასესხო ვალდებულება, 7.5 საპროცენტო განაკვეთით. სესხის გადახდა დაყოფილია 61 თანაბარ ნაწილად. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2023 წლის დეკემბერი. უნივერსიტეტმა 2019 წელს აიღო 1,000 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სესხი სს ბაზის ბანკისგან. სესხის საპროცენტო განაკვეთია 7.5 პროცენტი. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2029 წლის ივნისი. ასევე 2019 წელს წელს სს ბაზისბანკისგან აიღო სესხი 450 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სესხის საპროცენტო განაკვეთია 7.5 პროცენტი. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2024 წლის დეკემბერი. 2021 წელს უნივერსიტეტმა აიღო 1,000 ათასი აშშ დოლარის სასესხო ვალდებულება სს ბაზისბანკისგან. სესხის მიღება მოხდა 6 ტრანშად. საპროცენტო განაკვეთი არის 6.5 პროცენტი. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2031 წლის ივლისი. 2022 წლის იანვარში უნივერსიტეტმა აიღო 1,750 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სასესხო ვალდებულება სს ბაზისბანკისგან. საპროცენტო განაკვეთი არის 6% დამატებული ლიბორის განაკვეთი. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სესხის დაბარვის ბოლო ვადაა 2032 წლის დეკემბერი. 2022 წლის მაისში უნივერსიტეტმა აიღო სასესხო ვალდებულება ბაზისბანკისგან 1,900 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სესხის მიღება განხორციელდა ორ ტრანშად. საპროცენტო განაკვეთი არის 7,56% დამატებული ლიბორის განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სესხის დაფარვის ბოლო ვადა არის 2032 წლის მაისი. 2022 წლის აგვისტოში უნივერსიტეტმა სს ბაზისბანკისგან აიღო 1,800 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ვალდებულება. სესხის მიღება მოხდა ოთხ ტრანშად. საპროცენტო განაკვეთი არის 9,05% დამატებული ლიბორის განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სესხის დაფარვის ბოლო ვადა არის 2034 წლის აგვისტო. 2022 წლის აგვისტოში საქართველოს უნივერსიტეტმა სს ბაზისბანკისგან აიღო 1,600 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ვალდებულება. სესხის ათვისება მოხდა ორ ტრანშად. ტრანშად. საპროცენტო განაკვეთი არის 9,05% დამატებული ლიბორის განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სესხის დაფარვის ბოლო ვადა არის 2034 წლის აგვისტო. კომპანიამ 2023 წლის აპრილში სს თი ბი სი ბანკისგან აიღო სესხი 2 მილიონი დოლარის ოდენობით. სესხის თანხის მიღება მოხდა 3 ტრანშად. სესხის საპროცენტო განაკვეთია წლური 9%. კრედიტის დაფარვის ბოლო ვადაა 2030 წლის აპრილი. 2023 წლის დეკემბერში სს თი ბი სი ბანკისგან აიღო 3 მილიონი დოლარის სასესხო ვალდებულება. სესხის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში ფიქსირებული 9%-ით ხოლო შემდგომ ყოველ 6 თვეში შეიცვლება საჯარო ინდექსის (Term SOFR-ის) მიხედვით.

2016 წლის 30 სექტემბერს ჯგუფის შვილობილი კომპანიის შპს იუჯი წიგნების მიერ სს ბაზის ბანკში აღებულ იქნა 910 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სასესხო ვალდებულება, 10.5 საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთით. სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს საცხოვრებელ კომპლექსში აპარტამენტების შეძენა, შემდგომში უნივერსიტეტის სტუდენტებზე გაქირავების მიზნით. სასესხო ვალდებულება უზრუნველყოფილია აპარტამენტებით და ასევე ჯგუფის თითოეული წევრი წარმოადგენს სესხის თავდებას. საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დასრულდა 2017 წლის ბოლოს და მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სესხის გადასახდელები დაყოფილია 120 თანაბარ ნაწილად. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2026 წლის სექტემბერი. 2022 წლის აგვისტოში იუჯი წიგნებმა სს ბაზისბანკისგან აიღო 5,500 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ვალდებულება. სესხის საპროცენტო განაკვეთია 9,07% დამატებული ლიბორის განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სესხის დაფარვის ბოლო ვადა არის 2035 წლის იანვარი.

შპს იუჯი მედიკალმა 2021 წლის ივლისში სს ბაზის ბანკისგან აიღო 2,230 და 300 ათასი აშშ დოლარის სასესხო ვალდებულებები. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6.5%-6.5%-ს. საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სესხების დაფარვის საბოლოო ვადებია 2029 წლის ივლისი და 2031 წლის დეკემბერი. სესხების მიზნობრიობას წარმოადგენს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გრძელვადიანი ვალდებულებების რეფინანსირება შემდეგი თანმიმდევრობით: 2018 წლის მარტში აღებული 850 ათასი აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთით 8%, დაფარვის საბოლოო ვადა იყო 2028 წლის მარტი; საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. 2019 წლის ივლისსა და დეკემბერში აღებული 900-900 ათასი აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთით 8-8%, დაფარვის ვადა 2029 წლის მარტი და დეკემბერი; 2020 წლის მარტსა და აპრილში აღებული 250-650 აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთით 10-11%, საპროცენტო განაკვეთი ყოველ 6 თვეში ავტომატურად იცვლება ლიბორის განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სესხის დაფარვის ვადა 2023 წლის აპრილი. ამ სესხების მიზნობრიობას წარმოადგენდა მიწების შეძენა, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების უზრუნველყოფას ჯგუფის მიერ ფლობილ დანარჩენ მიწა და შენობა-ნაგებობებთან ერთად.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2023 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მენიშვნა 13. იჯარა

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები:		
შენობა-ნაგებობები	2,017	1,296
სულ აქტივები	2,017	1,296
იჯარის ვალდებულებები:		
მოკლევადიანი	774	403
გრძელვადიანი	1,432	970
სულ იჯარის ვალდებულებები	2,206	1,373

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი თნხები:

	2023 წელი	2022 წელი
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა	424	354
საპროცენტო ხარჯი	183	141
სულ	607	495

მენიშვნა 14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
წინასწარ გადახდილი სწავლის გადასახადი	569	1,045
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,095	5,910
გადასახდელი ხელფასები	1,662	1,429
სხვა კრედიტორული დავალიანება	2,858	4,041
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	7,184	12,425

მენიშვნა 15. სარემონტო და კომუნალური დანახარჯები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
რემონტის ხარჯები	(838)	(781)
საიჯარო ქირა	(292)	(374)
საოფისე მასალების ღირებულება	(1,694)	(1,118)
კომუნალური ხარჯი	(1,399)	(1,288)
სხვადასხვა ხარჯი	(1,370)	(896)
სულ სარემონტო და კომუნალური დანახარჯები	(5,593)	(4,457)

მენიშვნა 16. სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები, ნეტო

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი	(1,232)	-
სასწავლო პრაქტიკის ხარჯი	(2,322)	(1,793)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	(1,063)	(552)
დაზღვევა	(1,156)	(1,004)
საგადასახადო ხარჯი	(1,114)	(1,017)
ლაბორატორიული ხარჯი	(502)	(563)
ტრენინგები	(115)	(362)
სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის ხარჯი	(70)	-
საწევროები	(740)	(167)
საიჯარო შემოსავალი	64	-
სხვა შემოსულობები და ხარჯები, ნეტო	(308)	1,142

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2023 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები, ნეტო	(8,558)	(4,316)
---	----------------	----------------

მენიშვნა 17. წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
საპროცენტო შემოსავლები	485	257
საპროცენტი ხარჯები	(5,324)	(2,182)
იჯარის საპროცენტო ხარჯი	(183)	(141)
საკურსო ზარალი (მოგება)	(202)	4,497
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი	(5,224)	2,431

მენიშვნა 18. სხვა მოგება (ზარალი)

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,328	(211)
წილობრივი ინსტრუმენტების გაუფასურება	(44)	(3,814)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(80)	-
ფინანსური აქტივის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	287	-
საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	(477)	-
ქველმოქმედება	(1,635)	(3,914)
სულ სხვა მოგება (ზარალი)	(533)	(7,939)

მენიშვნა 19. შრომის ანაზღაურება

2022 წლის ოქტომბერში, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ამავე კომპანიაში დასაქმებულ პირთათვის (გარდა საათობრივ ანაზღაურებასა და გამოსაცდელი ვადით დასაქმებულთათვის), შეიმუშავა წახალისების ორ კომპონენტის სტრატეგია.

პირველი კომპონენტი მოიაზრებს შრომითი ურთიერთობების განმავლობაში, დასაქმებულთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დიფერენცირებული სარგებლის დაგროვებას, რომლის გადახდაც ხორციელდება ერთჯერადად, შრომითი ურთიერთობების დასრულების დროს. ამ კომპონენტით განსაზღვრული სარგებელი დენომინირებულია აშშ დოლარში და ამასთანავე, ექვს თვეში ერთხელ ერიცხება აშშ-ს შრომის სტატისტიკის ბიუროს მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო ფასების ინდექსის შესაბამისი პროცენტი.

ამ კომპონენტის ქვეშ, 2023 წლის განმავლობაში აღიარებული ხარჯი შეადგენს 937 ლარს (2022:807) და შესაბამისი გრძელვადიანი ვალდებულება შეადგენს 1,744 ლარს (2022:807).

მეორე კომპონენტი გულისხმობს საპენსიო ასაკს მიღწეულ თანამშრომელთათვის, რომლებიც კანონით დადგენილი წესით, ნებაყოფლობით შეწყვეტენ შრომით ურთიერთობებს, ან ასაკის მიუხედავად, შრომითი ურთიერთობები შეწყდება შრომითი კოდექსით გათვალისწინებული ხანგრძლივი შრომისუნარობის გამოისობით, კომპანიაში ნამსახურები წლების მიხედვით დიფერენცირებულ, ყოველთვიური სარგებლის გაცემას სიცოცხლის ბოლომდე. ამ კომპონენტთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა რომ კონსტრუქციული ვალდებულება არსებობს, თახობრივი გამოხატულების გამოანგარიშება და შეფასება არ გახორციელებულა.

მენიშვნა 20. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი.

ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	102	89
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	12,535	4,775
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	12,637	4,864

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი.

ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31-დეკ-2023			31-დეკ-2022		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	857	2,543	(1,686)	1,610	6,955	(5,345)
აშშ დოლარი	12,109	44,018	(31,909)	3,650	49,651	(46,001)
ევრო	37	-	37	95	-	95
სხვა	49	-	49	-	-	-
სულ	13,052	46,561		5,355	56,606	

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31-დეკ-2023		31-დეკ-2022	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(3,191)	-	(4,600)	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	3,191	-	4,600	-

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ევროს გამყარება 10%-ით	4	-	10	-
ევროს დასუსტება 10%-ით	(4)	-	(10)	-
სხვა გამყარება 10%-ით	5	-	-	-
სხვა დასუსტება 10%-ით	(5)	-	-	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. ჯგუფის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია ჯგუფისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

რეალური ღირებულების ცვლილების რისკი (ფასის რისკი). ჯგუფს ფინანსური რისკების ამ სახეობას ექვემდებარება კოტირებული ჰოლდინგის, Rolls-Royce Holdings plc-ის აქციები (RR.LSE), რომელიც წარდგენილია რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში ასახვით (FVPL). აღნიშნული აქციების რეალური ღირებულების 10 პროცენტიანი მატება ან კლება, შესაბამისად, გამოიწვევს 66 ლარის მოგებას ან ზარალს.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ჯგუფს ყოველდღე უკავშირდება ჯგუფის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძვნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	ნასესხები საშუალებები	იჯარა	სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	სულ
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:				
მოთხოვნისთანავე და 3 თვეზე ნაკლები	-	-	2,664	2,664
3-დან 12 თვემდე	7,328	947	-	8,275
12 თვიდან 2 წლამდე	7,837	607	-	8,444
2 -დან 5 წლამდე	22,685	951	-	23,636
5 წლის ზემოთ	35,320	124	-	35,444
სულ მომავალში გადასახდელები	73,170	2,629	2,664	78,463

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	ნასესხები საშუალებები	იჯარა	სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:				
მოთხოვნისთანავე და 3 თვეზე ნაკლები	-	-	6,955	6,955
3-დან 12 თვემდე	7,480	523	-	8,003
12 თვიდან 2 წლამდე	7,948	548	-	8,496
2 -დან 5 წლამდე	23,624	798	-	24,422
5 წლის ზემოთ	40,414	248	-	40,662
სულ მომავალში გადასახდელები	79,466	2,117	6,955	88,538

კაპიტალის მართვა.

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირება, რათა მფლობელებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს მფლობელებისთვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს მფლობელებს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ჯგუფი არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

შენიშვნა 21. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა ჯგუფის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძვნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მენიშნა 22. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. ჯგუფის (და მშობელი კომპანიის) ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	12,535	4,775
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	102	89
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	396	574
სულ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები	13,033	5,438
რეალური ღირებულებით აღრიცხული მოგებასა და ზარალში ასახვით	2,612	662
სულ ფინანსური აქტივები	15,645	6,100
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,664	6,955
- ნასესხები საშუალებები	62,966	47,073
- იჯარა	2,206	1,373
სულ ფინანსური ვალდებულებები	67,836	55,401

მენიშნა 23. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული სხვაობა	გადაფასების ცვლილება	ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბერი
სესხების ძირი თანხა	62,966	10,926	4,967	47,073
იჯარა ძირი თანხა	2,206	(628)	1,461	1,373
სულ	65,172	10,298	6,428	48,446

	ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული სხვაობა	გადაფასების ცვლილება	ვალდებულება 2021 წლის 31 დეკემბერი
სესხების ძირი თანხა	47,073	30,768	(4,035)	20,340
იჯარა ძირი თანხა	1,373	(423)	377	1,419
სულ	48,446	30,345	(3,658)	21,759

მენიშნა 24. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევა ჯგუფს სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა 25. დაკავშირებული მხარეები

	ძირითადი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები
2023 წლის განმავლობაში:		
მისაღები სესხები	-	396
საპროცენტო შემოსავალი	-	485
მოკლევადიანი სარგებელი-ხელფასი	2,813	-
მენეჯმენტზე გაცემული ავანსი	885	-
სხვა მოკლევადიანი სავაჭრო დავალიანება	-	1,033

	ძირითადი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები
2022 წლის განმავლობაში:		
მისაღები სესხები	-	574
საპროცენტო შემოსავალი	-	257
მოკლევადიანი სარგებელი-ხელფასი	3,264	-
მენეჯმენტზე გაცემული ავანსი	207	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	4,775
სხვა მოკლევადიანი სავაჭრო დავალიანება	-	3,500

შენიშვნა 26. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. კომპანიამ 4.4 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მელულა“-ს 45%-იანი წილი.

